# გაკვეთილის გეგმა

# (ჩატარების თარიღი-13.11.2017)

**მასწავლებლის სახელი,გვარი:**ნათელა მაჭარაშვილი
**საგანი:**ისტორია
**სწავლების საფეხური/კლასი:**საშუალო/XI[1]კლასი
**მოსწავლეთა რაოდენობა:**31
**გაკვეთილის თემა:**საქართველო VI საუკუნეში
**გაკვეთილის მიზანი:**
-მოსწავლეები შეძლებენ მსჯელობას იმ საფუძვლების შესახებ, რომელიც სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურებში იწვევს ცვლილებებს;
-მოსწავლეები შეეცდებიან განსაზღვრონ სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესი საქართველოს მიმართ;
-მოსწავლეეები შეეცდებიან იმსჯელონ და შეაფასონ კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწის მიერ არჩეული საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი;
-მოსწავლეები შეეცდებიან საქართველოს ისტორიის გაგრძელებასა და საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკური არჩევანის შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირებას ( თემის სახით) ;

| # | აქტივობის აღწერა | გამოყენებული მეთოდი/მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები | სასწავლო რესურსები | დრო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოსწავლეები მიდიან მასწავლებლის მაგიდასთან და იღებენ კალათში ჩაყრილ პატარა დანომრილ ბურთულებს.მათ ეძლევათ **ინსტრუქცია**-პირველი ნომრის მფლობელნი თავს მოიყრიან პირველ მაგიდასთან(მაგიდები | ინსტრუქცია, მოსწავლეთა დაჯგუფება | ინდივიდუალური | ფენოპლასტის ბურთულები | 1წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დანომრილია),მეორე ნომრის მფლობელნი –მეორე მაგიდასთან.ასეთი სახით მოხდება დაჯგუფება მესამე და მეოთხე ნომრების შემთხვევაშიც. | | | | |
| 2 | საგაკვეთილო თემისა და მიზნის გაცნობა, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.აქვე დაურიგდებათ კონკრეტული დავალებები(ყველა მაგიდაზე განთავსდება სხვადასხვა დავალება ) შესაბამისი ინსტრუქციით. | თემისა და მიზნის ინტონაციითა და ვიზუალურად გამოკვეთა, ამობეჭდილი შეფასების კრიტერიუმების დაფაზე დაფიქსირება, კონკრეტული დავალებების გარეგანი დაკვირვება. | ჯგუფები | თემისა და მიზნის დაფიქსირება p.p.–ის სლაიდზე,თემის, მიზნისა და შეფასების კრიტერიუმების ამობეჭდილი ვერსია, ამობეჭდილი დავალებები ოთხივე ჯგუფისათვის | 2წთ |
| 3 | ჯგუფებს ვაძლევ **ინსტრუქციას**<br>–გაეცანით თქვენს მაგიდაზე განთავსებულ კონკრეტულ დავალებას და შეასრულეთ იგი მასზე დატანილი ინსტრუქციის შესაბამისად მაგიდაზე განთავსებულ სამუშაო ფურცელზე,,<br>–დავალების შესრულებას დაუთმეთ 5 წუთი;<br>–დროის დასრულების შემდეგ (რომელსაც ტელეფონის ზარი შეგახსენებთ) თქვენს მიერ შესრულებულ ,,სამუშაო ფურცელთან,, ერთად გადაინაცვლეთ შემდეგ ,,გაჩერებაზე,, და | ,,სასწავლო გაჩერებები,, ინსტრუქცია,დავალებების შინაარსობრივად გაცნობა, ინსტრუქციის შესაბამისად ყველა ,,გაჩერებაზე,, შესაბამისი დავალების შესრულება | ჯგუფები | სამუშაო ფურცლები,კონკ რეტული დაბეჭდილი დავალებები,მობი ლური ტელეფონი,კომპი უტერი,პროექტო | 21წთ (1წთ–ინსტრუქც ია , 20წთ –ჯგუფების მუშაობა ყველა ,,გაჩერებაზე,,– |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ამჯერად შეასრულეთ იქ განთავსებული დავალება;<br>-ამავე პრინციპით მოახდენთ ყველა ,,გაჩერებაზე,, გადაადგილებას, დავალებების შესრულებას;<br>-ყველა ,,გაჩერებაზე,, დავალების შესასრულებლად გაქვთ 5 წუთი;<br>-ჯგუფების მოძრაობა მოხდება საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით;<br>-ინსტრუქციის შეხსენება მუდმივად შეგიძლიათ მონიტორზე განთავსებული წესებით;<br>**დავალება პირველ,, გაჩერებაზე,,-**თქვენს წინაშეა ამონარიდი უცნობი ავტორის თხზულებიდან,,ევსტათი მცხეთელის წამება,,.ყურადღებით გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს:<br>,,წელსა მეათესა ხვასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზპანობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით ძეი მოგვისაი და წარმართიყო იგი და სახელი ერქვა მას გვირობანდაკ...ითხოვა მან ცოლი ქრისტეანეი და თვით ქრისტეანე იქმნა.ნათლისცემასა მისსა უწოდეს სახელი ევსტათი.<br>...მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს და ზრახვა ყვეს წინაშე უსტამისა-მცხეთელი ციხისთავისასა და თქვეს:აქა კაცი არს ჩვენისა რჩეულისაგანი და ცეცხლი არა გამოსცის, ჩვენ გვაგინებს,,. | **პირველ ,,გაჩერებაზე,,-**ტექსტის შინაარსობლივი გაცნობა,არსებითი კავშირების გამოყოფა, დამოკიდებულების ამოცნობა,კითხვებზე პასუხის გაცემა და არგუმენტირებულად დასაბუთება,მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა, ჩანაწერების გაკეთება | | რი,ინტერნეტი,ქართული მწერლობა, ტ.1,,,ნაკადული,, თბ,1987-,,ევსტათი მცხეთელის წამება,,-გვ.252-272,თემატური რუკები,ბარელიეფები(ლინკები სიდიდის გამო მოცემულია გეგმის ბოლოს) | 5-5წუთი თითო გაჩერებაზე) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დაიბარეს ევსტათი, მოთხოვეს ქრისტიანობის უარყოფა, უარის შემდეგ კი საპყრობილეში ჩააგდეს.<br>,,...რაჟამს ამხედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოსი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა პიტიახში და სხვანი სეფექულნი და მარზპანს ჰრქვეს:<br>–გევედრებით შენსა მაგას უფლებასა , სათხოველსა ერთსა გთხოვთ.<br>ხოლო მან ჰრქვა მათ:<br>–თქვით, რაიცა გნებავს,რაიმცა იყო, რომელი თქვენ არა მიგმადლე,,.<br>თუმცა ევსტათი მცხეთელი სიკვდილით იქნა დასჯილი.<br><br>1.წერილობით გადმოეცით ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა მოცემული ნაწყვეტის მიხედვით .<br>2.გვაძლევს თუ არა ზემოთ მოცემული ნაწყვეტი იმის საფუძველს, რომ სპარსელი მარზპანი თანხმობაშია ქართლის დიდაზნაურებთან?პასუხი დაასაბუთეთ.<br>3.თქვენი აზრით, რატომ არ ფიგურირებს ნაწყვეტში ქართველი მეფის სახელი?<br>**დავალება# 2გაჩერებაზე**<br>თქვენს წინაშეა ჯვრის ტაძრის ბარელიეფები შესაბამისი წარწერებით, ასევე მოცემულია რუკები(#1და#2 რუკა). | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ყურადღებით დააკვირდით მოცემულ რესურსებს და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს<br>1.რომელი ქვეყნების ინტერესი იკვეთება საქართველოში #1 რუკის მიხედვით?<br>2.საქართველოს რომელ ტერიტორიებზე ფიქსირდება კონკრეტული სახელმწიფოების ინტერესები #1 რუკის მიხედვით?<br>3.რომელი სახელმწიფოს ინტერესია გამოკვეთილი # 2 რუკაზე და რა შედეგით დასრულდა ეს ინტერესი?<br><br>4.ჯვრის ტაძრის ბარელიეფებზე შესრულებული წარწერის მიხედვით რომელი ქვეყნის ინტერესია აშკარად გამოკვეთილი?პასუხი დაასაბუთეთ.<br>**დავალება მე-3 გაჩერებაზე**<br>თქვენს მაგიდაზე განთავსებულია კონკრეტული რეალური ამბავი საქართველოს ისტორიიდან.ყურადღებით გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს.<br><br>,,...მე-6 საუკუნეში ბიზანტია ცდილობს საქართველოზე თავისი გავლენის გავრცელებას და გარკვეული დროით ამას ახერხებს კიდეც დასავლეთ საქართველოში.ეგრისის მეფე გუბაზმა გადაწყვიტა ბიზანტიის წინააღმდეგ ირანის გამოყენება.ეს გამოწვევა ირანის შაჰმა ხოსრო პირველმა მიიღო და ასე დაიწყო ,,დიდი ომიანობა,, ეგრისში(542-562).თუმცა გუბაზი | **მეორე ,,გაჩერებაზე,,-** რუკასა და ბარელიეფებზე დატანილი ინფორმაციის ამოცნობა, კითხვებზე პასუხის სრულყოფილად გაცემა,ინფორმაციის ტრანსფორმაცია (რუკაზე დატანილი ინფორმაციის წერილობით გამოხატვა),შესაბამისობის დადგენა.<br><br>**მესამე ,,გაჩერებაზე,,-**ტექსტის შინაარსობლივი გაცნობა, განსჯა, არგუმენტირებულად დასაბუთება, პროგნოზირება, კონკრეტული თვალსაზრისის განსაზღვრა, | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ირანის მოღალატეობრივი ქმედების შემდეგ (ირანელებს გუბაზის მოკვლა და ეგრისის მოსახლეობის თავიანთ მიწებიდან აყრა სურდათ) პოზიციას იცვლის და ამჯერად ბიზანტიას უკავშირდება ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.თუმცა ბიზანტიელებმაც არ დაინდეს გუბაზ მეორე და იგი მოკლეს. აღშფოთებული ეგრისელები სახალხო კრებაზე შეიკრიბნენ, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ქართველი ორატორი-აიეტი და ფარტაზი.აიეტი შეკრებილ მოსახლეობას მოუწოდებდა, რომ კვლავ ირანის მხარე დაეჭირათ,ფარტაზი კი ამ იდეას უარყოფდა და ბიზანტიელების მოკავშირეობას ამჯობინებდა მკვლელების დასჯის მოთხოვნით.საბოლოოდ ფარტაზის აზრმა გაიმარჯვა.<br><br>ზემოთ მოყვანილი ტექსტის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:<br>1.გონივრულად მოიქცა თუ არა გუბაზი, როდესაც ბიზანტიელების წინააღმდეგ ირანს დაუკავშირდა?პასუხი დაასაბუთეთ.<br>2.ჰქონდა თუ არა ალტერნატიული გზა გუბაზ მეფეს, რომ ბიზანტიასაც დაპირისპირებოდა და ირანსაც?პასუხი დაასაბუთეთ.<br>3.რომელი ორატორის პოზიციაა თქვენთვის მისაღები და რა კონკრეტულ საფუძველს დაუდებდით თქვენს პოზიციას გასამყარებლად?<br><br>**დავალება #4 გაჩერებაზე** | მაგალითების მოყვანა, ჩანაწერების გაკეთება. | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | გააგრძელე საქართველოს ისტორია(მოკლე თემის სახით), სხვა ისტორიულ ფაქტებთან ერთად ყურადღება გაამახვილეთ საქართველოს დღევანდელ საგარეო პოლიტიკურ არჩევანზე(დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია და შეაფასეთ ეს პროცესი).<br>თქვენ შეგიძლიათ ინფორმაციის მოსაძიებლად გამოიყენოთ ინტერნეტში ჩართული მობილურები ან კომპიუტერი | **მეოთხე ,,გაჩერებაზე,,-** თემის დაწერა, არსებითი კავშირების გამოყოფა,განვრცობა-განზოგადება, საკუთარი სიტყვებით ახსნა,მიმოხილვა,ინფორმაციის მოძიება/ორგანიზება. | | | |
| 4 | ინსტრუქცია-კლასის ერთ კუთხეში განთავსებულია ,,სწორი პასუხების მაგიდა,,სადაც ოთხ ცალად არის მხოლოდ სამი დავალების სწორი პასუხი(არ არის მხოლოდ თემა).ყველა ჯგუფიდან ერთი | ინფორმაციის დამუშავება/შედარება/ანალიზის გაკეთება/შეჯამება, | ჯგუფები | ამობეჭდილი სწორი პასუხები | 4წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მოსწავლე აიღებს ერთ ეგზემპლარს და ჯგუფთან ერთად განიხილავს მათ მიერ შესრულებული დავალების შესაბამისობას სწორ პასუხებთან. რომელი დავალებაც სწორად გაქვთ შესრულებული, მონიშნეთ +(პლუსი) ნიშნით, რომელიც არასწორია -(მინუსი)ნიშნით. | შესაბამისობის დადგენა, სიმბოლოების გამოყენება. | | | |
| 5 | ჯგუფების მიერ შთაბეჭდილებების გაზიარება მხოლოდ სამი დავალების მიხედვით(გარდა თემისა). | ზეპირი კომენტარები,შთაბეჭდილ ებების გაზიარება | ჯგუფები | ,,სამუშაო ფურცლები,, | 4წთ |
| 6 | ყველა ჯგუფი კითხულობს თემას.მოსწავლეთა ნამუშევრების წაკითხვის შემდეგ ჯგუფებს ეძლევათ ერთმანეთისათვის კითხვის დასმის უფლება.მოსწავლეებმა უნდა გამოავლინონ დაწერილი თემის მიხედვით ,,ბესტსელერი,, | თემის წარდგენა ჯგუფების წინაშე,კითხვა-პასუხი, ,,ბესტსელერის,,გამოვლე ნა | ჯგუფები | ,,სამუშაო ფურცლები,, ,,ბესტსელერის,,კ რიტერიუმები | 6წთ |
| 7 | მოსწავლეებს განვუმარტავ,რომ მცირე პრეზენტაცია მეც მაქვს მომზადებული საქართველოს დღევანდელი არჩევანის შესახებ, რომელსაც ანიმაციის სახით წარმოვადგენ ( ყოველგვარი შეფასების გარეშე). აქვე ვთავაზობ პროექტს/კვლევას ,,საქართველოს დღევანდელი არჩევანი,,. | მასწავლებლის პრეზენტაცია- ანიმაციით საუბარი,პროექტის შეთავაზება | ჯგუფები | ანიმაციური ფილმი | 2წთ |
| 8 | შეფასება-მოსწავლეთა შეფასება მოხდება განმავითარებელი შეფასების საფუძველზე გაკვეთილის დასაწყისში გაცნობილი | განმავითარებელი შეფასება | ჯგუფები | დაკვირვების ფურცელი ჯგუფური | 3წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კრიტერიუმების მიხედვით.განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებ მიზნის შესაბამის კრიტერიუმებზე,მოხდა თუ არა ყველა კრიტერიუმზე გასვლა. | | | მუშაობისათვის,ზ ეპირი კომენტარი,არაფ ორმალური დაკვირვება ,მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები | |
| 9 | ჯგუფის თვითშეფასება | ჯგუფების უკუკავშირი-თვითშეფასებ ა | ჯგუფები | ჯგუფის თვითშეფასების სქემა | 2წთ |

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:**

-მოსწავლეებმა იმსჯელეს საქართველოში ირანელთა გავლენის გამო სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ;

-მოსწავლეებმა განსაზღვრეს ირანისა და ბიზანტიის ინტერესები საქართველოს მიმართ;

-მოსწავლეებმა შეაფასეს გუბაზII-ის მიერ არჩეული საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი;

-მოსწავლეებმა გააგრძელეს საქართველოს ისტორია თემის სახით და დააფიქსირეს საკუთარი აზრი საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკური არჩევანის შესახებ;

## შეფასება :

**განმავითარებელი შეფასება** - დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის, ჯგუფის თვითშეფასების სქემა, თემა- ,,ბესტსელერის,, შეფასების სქემა,ზეპირი კომენტარი,

არაფორმალური დაკვირვება(მასწავლებლის უკუკავშირი ხორციელდება აქტივობების პარალელურად, სიტუაციის შესაბამისად),მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები.

**დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის**

**შეფასება:**

1.თითქმის არა

2.ნაკლებად

3.საკმაოდ

4.სრულად

| | დროის ლიმიტის დაცვა | თანამშრომლობა | სხვა ჯგუფების მოსაზრებისადმი პატივისცემა | იდეების არგუმენტირებულად დასაბუთება | წარმოდგენილი ინფორმაციის დავალებასთან შესაბამისობა |
|---|---|---|---|---|---|
| I ჯგუფი | | | | | |
| II ჯგუფი | | | | | |
| III ჯგუფი | | | | | |
| IV ჯგუფი | | | | | |

**ჯგუფის თვითშეფასების სქემა:**

-რა იყო თქვენი ჯგუფის ყველაზე დიდი მიღწევა?
-გადაწყვიტეთ თუ არა ჯგუფისთვის განკუთვნილი დავალება?
-რა იყო თქვენი ერთობლივი მუშაობის ხარვეზი?

**თემა- ,,ბესტსელერის,, შეფასების სქემა**

-თემა კარგადაა ორგანიზებული;
- კარგად ჩანს დამოუკიდებელი აზროვნება;
-ნაშრომი ორიგინალურადაა წარმოდგენილი;

**მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები**

| კრიტერიუმები | სრულად | ნაწილობრივ |
|---|---|---|
| მოსწავლეებმა იმსჯელეს საქართველოში ირანელთა გავლენის გამო სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ; | | |
| მოსწავლეებმა განსაზღვრეს ირანისა და ბიზანტიის ინტერესები საქართველოს მიმართ; | | |
| მოსწავლეებმა შეაფასეს გუბაზII-ის მიერ არჩეული საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი; | | |
| მოსწავლეებმა გააგრძელეს საქართველოს ისტორია თემის სახით და შეაფასეს საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკური არჩევანი | | |

რუკების ლინკი მოცემულ დროზე-25.10.2017
https://www.google.ge/search?biw=1920&bih=900&tbm=isch&sa=1&q=%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0+%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1+%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90&oq=%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0+%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1+%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90&gs_l=psy-ab.3...29069.30832.0.31236.0.0.0.0.0.0.0.0..0.0....0...1.1.64.psy-ab..0.0.0....0.Wo2uQlvjHrU#imgrc=yydchlPX9jkzTM:

https://www.google.ge/search?q=%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90+%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90+565&dcr=0&tbm=isch&source=iu&pf=m&ictx=1&fir=vG7gztYAuLkzGM%253A%252CNup9HvPj25ZigM%252C_&us#imgrc=-k5dXwkb3iBxKM:

ბარელიეფების ლინკი მოცემულ დროზე-25.10.2017

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AF%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98_(%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90)#/media/File:Mtskheta._Jvari_monastery_wall_writing._DEMETRE.JPG

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AF%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98_(%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90)#/media/File:Mtskheta._Jvari_monastery_wall_writing._STEPHANOZ.JPG

**ხელმოწერა:** **/ნ.მაჭარაშვილი/**

**თარიღი:**